განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი
16.03.2022-30.03.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 18.04.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 208215509 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/ Bachelor of International Relations |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312- პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული #27. 28.06.2016 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი გორგილაძე<br>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიო მიდელაშვილი<br>სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია და ხორციელდება 2016 წლიდან. (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N27, 28.06.2016). დაწესებულების მიერ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ცენტრი) წერილით წარმოდგენილ იქნა ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია.

ირკვევა, რომ იგი სახელმწიფოებრივ და თანამედროვე გლობალურ გამოწვევებზე, ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარების გამომუშავებაზე; ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით დარგობრივი საქმიანობის უნარის და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს ცოდნას სამი რეგიონის (აღმოსავლეთის, დასავლეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის) ვიწრო სპეციალიზაციით.

საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა გააგრძელოს ან დასაქმდეს საჯარო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიებში, ასევე კერძო სექტორშიც.

პროგრამით უზრუნველყოფილი ადამიანური, მეტერიალურ-ტექნიკური რესურსი მყარ ფუნდამენტს ქმნის აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის. უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობები საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის საკვანძო შემადგენელი ნაწილია ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა. ასევე ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურ ბმაშია პროგრამის მიზნებთან და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა/ავტონომიურობას. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (86 კრედიტი); სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (27 კრედიტი); კონცენტრაციის ბლოკი (28 კრედიტი); სავალდებულო/არჩევითი მეორე უცხო ენის ბლოკი (18 კრედიტი); თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები (12 კრედიტი); თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები (30 კრედიტი); თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (39 კრედიტი). საბაკალავრო პროგრამა

აგებულია მარტივიდან რთულისკენ და ზოგადი დისციპლინებიდან - კონკრეტულ ქვედარგებამდე, რაც გულისხმობს პროგრამის სავალდებულო კომპონენტში საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი სასწავლო დისციპლინების საჭირო მოცულობით სწავლებას. სტუდენტი თავის აკადემიური პროფილის ფორმირებას ახდენს მეხუთე სემესტრიდან სასურველი დარგობრივი კონცენტრაციის შესაბამისად (დასავლეთის რეგიონის ქვეყნები, აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნები, პოსტ-საბჭოთა რეგიონის ქვეყნები). ერთ-ერთი კონცენტრაციის არჩევა სავალდებულოა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის N 249802 ბრძანებას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს ,,საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში. ამავე დოკუმენტის საფუძველზე, ექსპერტთა გუნდს გადმოეგზავნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
წინა მოსამზადებელი შეხვედრა შედგა ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული შემოწმების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

**სტანდარტი** 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სტანდარტი 2 -** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სტანდარტი 4 -** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლის შედეგები იქნეს დაკორექტირებული მათი მიღწევადობის და გაზომვადობის თვალსაზრისით.
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება და თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად მორგება.

- რეკომენდებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების გადახედვა ლიტერატურის განახლების, გამრავალფეროვნებისა და დახვეწის თვალსაზრისით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდები რელევანტურად იქნას ასახული სასწავლო კურსების სილაბუსებში.
2. სასურველია გამიჯნული იქნას გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეები, პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის შემთხვევაში მისი სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე.
3. სასურველია სასწავლო კურსი ,,სოციალური კვლევის მეთოდები" გათვალისწინებული იყოს მე-8 სემესტრამდე, რათა სტუდენტმა საგანი შეისწავლოს სრულყოფილად, რომელიც აქტიურ დახმარებას გაუწევს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაში.
4. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ისეთი ბუნდოვანი ზმნები, როგორიცაა „იცის" ან „იცნობს" ჩანაცვლდეს ისეთი ზმნებით როგორიცაა: „იდენტიფიცირება", „განსაზღვრა", „აღწერა" ან „დემონსტრირება".

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე**

ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუ-ს მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია (ინსტიტუციის მიერ კორექტირებული სილაბუსების შეფასების საფუძველზე) ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული, შესაბამისი მტკიცებულებების (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ან/და აკადემიური საბჭოს დადგენილება) არარსებობის გამო.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „საერთაშორისო ურთიერთობები“ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოდიფიცირების პროცესში არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი ფორმულირებით კვალიფიკაციის დასახელება არ შეცვლილა, 2016 წელს პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო იმ დროისათვის მოქმედი ბრძანება №120/ნ-ით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ საფუძველზე: 0705 საერთაშორისო ურთიერთობები.<br>არაგეგმიურ მონიტორინგზე წარმოდგენილი პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები / Bachelor of International Relations“, რომელიც მიეკუთვნება დეტალური სფეროს - „0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები“ (0312.1.2 „საერთაშორისო ურთიერთობები/ Bachelor of International Relations“) - შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.<br>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის საფუძველზე, ირკვევა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფოებრივ და თანამედროვე გლობალურ გამოწვევებზე, ისტორიული და თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის უნარების გამომუშავებაზე; ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით დარგობრივი საქმიანობის უნარის და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში ინდივიდუალური ხედვის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს ცოდნას სამი რეგიონის (აღმოსავლეთის, დასავლეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის) ვიწრო სპეციალიზაციით.<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა გააგრძელოს ან დასაქმდეს საჯარო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, პოლიტიკურ პარტიებში, ასევე კერძო სექტორშიც.<br>პროგრამით უზრუნველყოფილი ადამიანური, მეტერიალურ-ტექნიკური რესურსი მყარ ფუნდამენტს ქმნის აღნიშნული მიზნების მიღწევისათვის. უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის საკვანძო შემადგენელი ნაწილია ევროპის |

უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლების უზრუნველყოფა. ასევე ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი;
- „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“.
- სეუ მისია https://www.seu.edu.ge/ka/557/a

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადასტურდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს - შედეგები მეტწილად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური ხასიათი. ის შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა/ ავტონომიურობას, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნას საბაკალავრო პროგრამის მიერ. ამდენად, შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში აქცენტი კეთდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და მისი ძირითადი სუბ-დისციპლინების შესწავლის ობიექტებსა და განვითარების დინამიკის აღწერაზე; პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ცნებების, თეორიებისა და მოდელების შედარებაზე; პოლიტიკის თეორიის ძირითადი იდეებისა და პრობლემატიკის გამოკვეთაზე. პროგრამა სტუდენტს აღჭურავს შემდეგი უნარებით: საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის საშუალებების მოძიება, განმარტება და გამოყენება. არსებული პოლიტიკური სიტუაციის სწორი დასკვნების გამოტანა როგორც ვერბალურ, ასევე წერილობით დონეზე, ჯგუფური ან ინდივიდუალური მცირე სამეცნიერო კვლევის განხორციელებით; წამყვანი სახელმწიფოების სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში არსებული პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა და პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღოს ამ ცოდნაზე დაყრდნობით; გეოპოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა და პრაქტიკული გადაწყვეტილება ამ ცოდნაზე დაყრდნობით; ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომების მომზადებას; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებისა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების დასახელებას; სამომავლო პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

აქვე აღსანიშნავია, სწავლების პროცესის შეფასების ჰარმონიზაცია როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებთან (ცოდნა/გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა), უნივერსიტეტის მისიასთან და ფაკულტეტის დებულებასთან, პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, კურიკულუმთან და სწავლება-სწავლის მეთოდებთან.

წარმოდგენილ პროგრამაში არ არის გამიჯნული გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეები, პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის შემთხვევაში, მისი სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე.

ხაზგასასმელია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სეუ-ს გაფორმებული მემორანდუმები: შვეიცარიის სენტ გალენის უნივერსიტეტთან (St Gallen University), რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტთან (Tor Vergata University of Rome) პოლონეთის ლაზარსკის უნივერსიტეტთან (Lazarski University), მალაიზიის UCSI უნივერსიტეტთან, თურქეთის მედიპოლ უნივერსიტეთან (Medipol University), მონტენეგროს დონია გორიცას უნივერსიტეტთან (University of Donja Gorica). მათთან ბილატერალური შეთანხმების ფარგლებში სეუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ ერთი სემესტრი ისწავლონ პარტნიორ უნივერსიტეტში შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამის დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში ცოდნის და უნარების მიღწევის შეფასების პროცესში გამოიყენება სამიზნე ნიშნულები - თითო შეფასების კომპონენტის შემთხვევაში მინიმალური ბარიერი, რომელიც სტუდენტმა უნდა გადალახოს. ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სეუ დოკუმენტაცია [https://www.seu.edu.ge/ka/554/](https://www.seu.edu.ge/ka/554/)
- საგანმანათლებლო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის მეთოდები რელევანტურად იქნას ასახული სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- სასურველია გამიჯნული იქნას გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეები, პროგრამის თითოეული სავალდებულო კომპონენტის შემთხვევაში მისი სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. აღნიშნულ მოდიფიცირებულ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში. ამასთანავე, მითითებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/ნ ბრძანების თანახმად) და მობილობის წესით ჩარიცხვის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად) პირობები.<br><br>პროგრამაზე დაშვები წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არის საჯარო. ინფორმაცია მოცემულია როგორც პროგრამის აღწერილობით ნაწილში, ისე უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის კურიკულუმი;<br>• „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში“. |

| |
|---|
| • https://www.seu.edu.ge/ka/1375/ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მიზნით მოდიფიცირებულ პროგრამაში შესულია ცვლილებები, რაც გულისხმობს პროგრამაში შემავალი მოდულების კრედიტების ცვლილებას. ასევე, ცვლილება განიცადა პროგრამის სტრუქტურამ და შინაარსმა. კონცენტრაციაში არსებული არჩევითი სასწავლო კურსების მოდული იქნა ამოღებული და ის გაერთიანდა სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებში. პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტის |

მოდული, რომელიც იყო განცალკევებული, ინტეგრირებულია კონცენტრაციის ბლოკში. წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. მისი კომპონენტებია: სპეციალობის სავალდებული სასწავლო კურსი (86 ECTS); სავალდებულო კონცენტრაციის ბლოკი(28 ECTS), დარგობრივი სამი მიმართულებით, რომელიც მოიცავს საბაკალავრო ნაშრომსა (6 ECTS) და პრაქტიკას (5 ECTS); სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი (27 ECTS); სავალდებულო/არჩევითი მეორე უცხო ენის ბლოკი (18 ECTS); საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (42 ECTS), მათ შორის ინგლისური ენის ბლოკი (30 ECTS); თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (39 ECTS).

მოდიფიცირებული პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ის მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს, რომელიც აღემატება სწავლის ძირითადი სფეროსთვის დადგენილ მინიმალურ 120 კრედიტს და თავისუფალ კომპონენტს. არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური ოდენობა აღემატება არჩევითი ნაწილისთვის განსაზღვრულ კრედიტების რაოდენობას, რაც იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოახდინოს არჩევანი და თვალსაწიერის გაფართოება.

პროგრამა ითვალისწინებს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს, აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურაში თვალსაჩინოა თითოეული სასწავლო კურსის ორგანიზება სემესტრების მიხედვით.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრულად არის დალაგებული; თუმცა, მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსი ,,სოციალური კვლევის მეთოდები“ უმჯობესი იქნებოდა გათვალისწინებული იყოს მე-8 სემესტრამდე, რათა სტუდენტმა საგანი შეისწავლოს სრულყოფილად, რომელიც აქტიურ დახმარებას გაუწევს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსი ,,სოციალური კვლევის მეთოდები“ გათვალისწინებული იყოს მე-8 სემესტრამდე, რათა სტუდენტმა საგანი შეისწავლოს სრულყოფილად, რომელიც აქტიურ დახმარებას გაუწევს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების საფეხურთან.

თუმცა, წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებულ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და მისი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობის თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები აღწერილია აწმყო დროის აქტიური ზმნებით (აღნიშნულს მოკლებულია სასწავლო კურსი ,,დიპლომატიური მოლაპარაკებები“) უმეტესად გამოყენებულია ისეთი ზმნები როგორებიცაა ,,იცის“ და ,,იცნობს“, რაც მიჩნეულია რომ არ არის ადვილად გასაზომი და აღნიშნული ტერმინები ასოცირებულია უფრო სწავლების ამოცანებთან, ვიდრე სწავლის შედეგებთან;
2. ზოგიერთი სასწავლო კურსის შედეგი არ არის გაზმვადი, მაგ.:
   - ,,იცის პოლიტიკის ფორმირების მექანიზმები და იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას პოლიტიკის წარმოების პროცესში“ (პოლიტიკის თეორია);

| |
|---|
| • ,,თვალს ადევნებს თანამედროვე სამყაროში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებს, სამეცნიერო სიახლეებს და ახორციელებს ცოდნის მუდმივ განახლებას“ (გლობალური უსაფრთოება და ტერორიზმი);<br>• ,,შეუძლია აშშ-ის დემოკრატიული ფასეულობების გააზრება და მისი ინსტიტუტების ცოდნის საფუძველზე დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობაში მონაწილეობა“ (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა);<br>• ,,სტუდენტს შეუძლია მიღებული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას და გამოიყენოს საერთაშორისო ურთიერთობებში კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად“ (აშშ და საქართველოს ურთიერთობები);<br>სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მიმდინარე აქტივობის შეფასებისას, ძირითადად გამოყენებულია პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია ყოველკვირეულ აქტივობასთან ერთად (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია და სხვ.), როგორც განმავითარებელი შეფასება. რაც შეეხება შუალედურ გამოცდას და განსაკუთრებით, ფინალურ გამოცდას, სადაც უნდა მოხდეს განმსაზღვრელი შეფასება, უმეტეს შემთხვევაში ისინი შეზღუდულია მხოლოდ ტესტირებით (დახურული შეკითხვები).<br>ექსპერტებისთვის გასაგები და მისაღებია, რომ აკადემიურ პერსონალს ავტონომიურობის ფარგლებში შეუძლია თავად განსაზღვროს კურსის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფი ლიტერატურა, თუმცა მიზანშეწონილია მოხდეს უახლესი ლიტერატურისათვის უპირატესობის მინიჭება. ექსპერთა მიერ სილაბუსთა უმრავლესობაში იშვიათად მოიძებნა ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურა, ხოლო უფრო იშვიათად 5 წლის. ამასთანავე, ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურა საჭიროებს გამრავალფეროვნებას, რადგან ძირითად ლიტერატურაში მხოლოდ ერთი ნაშრომია მითითებული, დამხმარე ლიტერატურა სრულებით არ არის წარმოდგენილი (ქართული სახელმწიფო პოლიტიკა). ამასთანავე, ლიტერატურა მითითებულია არასრულყოფილად, ზოგიერთ სილაბუსში არ არის მითითებული ნაშრომის ავტორი ანდა გამომცემლობა ან წელი. სასწავლო კურსში ,,ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, ხოლო დაშვების წინაპირობად არ განიხილება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• პროგრამის კომპონენტების სილაბუსები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლის შედეგები იქნეს დაკორექტირებული მათი მიღწევადობის და გაზომვადობის თვალსაზრისით.<br>• რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ათვისებისათვის, შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება და თითოეული სასწავლო კურსისთვის ინდივიდუალურად მორგება.<br>• რეკომენდებულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების გადახედვა ლიტერატურის განახლების, გამრავალფეროვნებისა და დახვეწის თვალსაზრისით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ისეთი ბუნდოვანი ზმნები, |

როგორიცაა „იცის“ ან „იცნობს“ ჩანაცვლდეს ისეთი ზმნებით როგორიცაა: „იდენტიფიცირება“, „განსაზღვრა“, „აღწერა“ ან „დემონსტრირება“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

